საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

11/06/2021 N 61/ო

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე №11 არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებისა და მომიჯნავე ლანდშაფტური ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2021 წლის 6 აპრილს №2114/01 და 27 აპრილს №2543/01 განცხადებით მომართა ნიკოლოზ მეტრეველმა (პ.ნ. 11001019587) (ქეთევან ხარაძის მინდობილი პირი (პ.ნ. 01008017787) და განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოითხოვა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. №64.10.09.286, №64.30.04.216, №64.30.04.004, №64.30.04.217, №64.30.04.268, №64.30.04.494, №64.30.13.027, №64.30.04.749, №64.30.04.582, №64.10.09.292, №64.30.04.636, №64.34.01.494, №64.34.01.493, №64.30.08.070, №64.30.04.916, №64.30.08.207, №64.30.08.206, №64.30.13.023, №64.30.13.026, №64.30.13.028, №64.10.09.271, №64.30.13.066, №64.30.04.832, №64.10.09.251, №64.30.13.097, №64.30.13.235, №64.30.04.721, №64.30.13.112, №64.30.13.082, №64.30.13.140, №64.30.13.141, №64.30.13.079, №64.30.04.601, №64.30.04.513, №64.30.13.032, №64.30.13.183, №64.30.13.187, №64.30.13.185, №64.30.13.186, №64.30.04.451, №64.30.04.640, №64.30.04.281, №64.34.01.456, №64.30.13.101, №64.10.09.238, №64.30.04.003, №64.34.01.431, №64.30.04.503, №64.34.01.444, №64.34.01.495, №64.30.04.931, №64.30.13.033, №64.34.01.526, №64.30.13.022, №64.34.01.491, №64.30.13.098, №64.30.13.067, №64.30.13.083, №64.10.09.258, №64.30.08.366, №64.30.13.162, №64.30.13.161, №64.30.04.833, №64.30.13.145, №64.30.04.854, №64.10.09.256, №64.10.09.287, №64.10.09.248, №64.34.01.705, №64.10.09.285, №64.30.13.200, №64.34.01.812, №64.30.13.018, №64.10.09.284, №64.34.01.117) და მომიჯნავე ლანდშაფტურ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ განმცხადებლის დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ხვდება ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში, განაშენიანების ჩამოყალიბებულ სისტემაში.

,,ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საკურორტო ზონა 1 (შზ-6) - განვითარება დასაშვებია შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებით: კ1-0.2; კ2-0.2; კ3-0.4; მაქსიმალური სართულიანობა: 2 სართული მანსარდით; მაქსიმალური სიმაღლე 7.5 მეტრი, კეხში 12.5 მეტრი; ცენტრის ზონა (შზ-2) -

კ1-0.4; კ2-0.6; კ3-0.2; მაქსიმალური სართულიანობა: 3 სართული მანსარდით; მაქსიმალური სიმაღლე 11.0 მეტრი, კეხში 16.0 მეტრი; სპეციალური ზონა 2 (სპზ-2) - ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: კ1-0.1; კ2-0.1; კ3-0.7; მაქსიმალური სართულიანობა: 2 სართული მანსარდით; მაქსიმალური სიმაღლე 7.5 მეტრი, კეხში 12.5 მეტრი; ლანდშაფტური ტერიტორია (ლტ), გამწვანებული ტერიტორია (გტ), ქუჩების ტერიტორია, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (სოფ.ტ).

თანდართული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს მე-11 არეალის ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის არეალების დამუშავების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატიცის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულებისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.
2. დაევალოს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), ნინო გვენცაძეს, შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება ნიკოლოზ მეტრეველთან (პ.ნ. 11001019587), ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.
3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში.
4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ირაკლი ქარსელაძე

მინისტრი